



ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის



## ოქმი № 02

2020 წელი 27 თებერვალი

ქ. ბაღდათი

12:00 საათი

2020 წლის 27 თებერვალს შედგა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა. ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ნოდარი გიორგიძე, გია სახამბერიძე, ირინა ტყეშელაშვილი, სიმონ ჭოლოკავა, ფრიდონ მაჩიტაძე, მამუკა გორგოძე, გაბრიელ ღიბრაძე, გურამი კიკნაველიძე, გვანცა გრძელიძე, მაია კბილაშვილი.

არ ესწრებოდა: შალვა მშვილდაძე გიორგი რობაქიძე.

**მუნიციპალიტეტის მერიიდან სხდომას ესწრებოდნენ:**

**ლერი გუმბერიძე** - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი  
**მირიან ფულარიანი** - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი  
**ანტონ ქარაბაკი** - მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი  
**საკრებულოს აპარატის უფროსი ნოდარ ებანოიძე და აპარატის თანამშრომლები.**

**ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა: ნოდარ გიორგიძე**- საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

დღის წესრიგი

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N 24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. ლერი გუმბერიძე-მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ანგარიში: „მუნიციპალიტეტის 2019 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესრულების შესახებ“.

მომხს. ანტონ ქარაბაკი-მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვების, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.

3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ წითელხევში 30.13.34.412 საკადასტრო კოდზე მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სსიპ

საქართველოს საპატრიარქოსთვის უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემაზე  
ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს. მირიან ფულარიანი-მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი

4.მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. შალვა მშვილდაძე- საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეები.

4. საკრებულოს 2020 წლის მორიგი 27 მარტის სხდომის დღის წესრიგის შესახებ.

მომხს. ნოდარ ებანოიძე-საკრებულოს აპარატის უფროსი

### **დღის წესრიგი დამტკიცდა**

**მომხრე - 10      წინააღმდეგი - 0**

### **კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 10 ბიუროს წევრმა**

**მ ო ს მ ი ნ ე ს:** 1. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“  
ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N 24 დადგენილებაში  
ცვლილების შეტანის შესახებ.

ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები ბიუროს წევრებს გააცნო **ლერი გუმბერიძემ-მუნიციპალიტეტის  
მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.**

საკრებულოს კომისიის დასკვნა, ბიუროს გააცნო გურამ კვიციანი-საკრებულოს საფინანსო-  
საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარედღის წესრიგი

### **ბიურომ გადაწყვიტა:**

აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნეს საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის მორიგი  
სხდომის დღის წესრიგში.

### **გადაწყვეტილება მიღებულია:**

**მომხრე-10 წინააღმდეგი-0**

კენჭისყრაში მონაწილეობდა 10 ბიუროს წევრი

**მ ო ს მ ი ნ ე ს:** 2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ანგარიში: „მუნიციპალიტეტის 2019 წლის  
სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესრულების შესახებ“.

მუნიციპალიტეტის მერის მიერ საკრებულოში გამოგზავნილი 219 წლის სახელმწიფო შესყიდვების  
გეგმის წლიური მაჩვენებლები ბიუროს გააცნო **ანტონ ქარაბაკმა-მუნიციპალიტეტის მერიის  
სახელმწიფო შესყიდვების და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსმა.**

საკრებულოს კომისიის დასკვნა, ბიუროს გააცნო გურამ კიკნაველიძემ-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, რომელმაც აღნიშნა, რომ კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი ანგარიში განხილული იქნეს საკრებულოს 28 თებერვლის სხდომაზე.

**ბიუროს სხდომამ გადაწყვიტა:**

აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნეს საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

**გადაწყვეტილება მიღებულია:**

**მომხრე-10 წინააღმდეგი-0**

კენჭისყრაში მონაწილეობდა 10 ბიუროს წევრი

**მ ო ს მ ი ნ ე ს: 3.** ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ წითელხევში 30.13.34.412 საკადასტრო კოდზე მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სსიპ საქართველოს საპატრიარქოსთვის უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

განკარგულების პროექტი წარმოადგინა მირიან ფულარიანმა მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საპატრიარქო ითხოვს აღნიშნულ ნაკვეთს ტაძრის მშენებლობისათვის

**დასკვნა** ბიუროს წევრებს გააცნო **სიმონ ჭოლოკავამ**, საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ კომისიამ გამოთქვა მოსაზრება წარმოდგენილი ყოფილიყო დოკუმენტი აღნიშნული საკითხის ადგილობრივ მოსახლეობასთან შეთანხმების თაობაზე და კომისია შემოვიდა წინადადებით საკითხი გადატანილი ყოფილიყო შემდგომი სხდომისათვის

**ბიუროს სხდომამ გადაწყვიტა:**

აღნიშნული საკითხი შეტანილი არ იქნეს შეტანილი საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

**გადაწყვეტილება მიღებულია:**

**მომხრე-10 წინააღმდეგი-0**

კენჭისყრაში მონაწილეობდა 10 ბიუროს წევრი

**მ ო ს მ ი ნ ე ს: 4.** მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

ნოდარ გიორგიძე-საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე -აღნიშნა, რომ ანგარიში წარმოდგენილია, არის შეთანხმება, რომ საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიშთან ერთად საკრებულოს კომისიები წარმოადგენენ ანგარიშს 2019 წელში გაწეული მუშაობის თაობაზე.

**ბიუროს სხდომამ გადაწყვიტა:**

აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნეს საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

**გადაწყვეტილება მიღებულია:**

**მომხრე-10 წინააღმდეგი-0**

კენჭისყრაში მონაწილეობდა 10 ბიუროს წევრი

**მ ო ს მ ი ნ ე ს: 5.** . საკრებულოს 2020 წლის მორიგი 27 მარტის სხდომის დღის წესრიგის შესახებ.

ნოდარ ებანოძე -საკრებულოს აპარატის უფროსი, მან აღნიშნა, რომ საკრებულოს I კვარტლის სამუშაო გეგმის მიხედვით მართის თვეში განსახილველია 3 გეგმიური საკითხი:

1.მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაცია: „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში და ბალანსზე არსებული ქონების (უძრავ-მომრავი) ინვენტარიზაციის შედეგების შესახებ 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის ანგარიში: „2019 წელში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობის დასრულების მდგომარეობისა და 2020 წელში განსახორციელებელი პროექტების მშენებლობის დაფინანსების შესახებ.

3. მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება.

**ბიუროს სხდომამ გადაწყვიტა:**

1.საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს მიღებული საკითხების მასალები განხილვისათვის დაუგზავნოს საკრებულოს კომისიებს და ფრაქციებს.

**ბიუროს სხდომამ გადაწყვიტა:**

საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელიც გაიმართება 2020 წლის 28 თებერვალს 10 საათზე, დღის წესრიგში შეტანილი იქნეს შემდეგი საკითხები:

1.ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N 24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. ლერი გუმბერიძე-მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

2.ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ანგარიში: „მუნიციპალიტეტის 2019 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესრულების შესახებ“.

მომხს. ანტონ ქარაბაკი-მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვების, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.

3.მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. შალვა მშვილდაძე- საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეები.

**სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.**

**სხდომის თავმჯდომარე:**

**ნოდარ გიორგიძე**